# დილა

№4-5. 2005 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



## მარიამ წიკლაურ-ძიძიგური
# საიმედო

აი ია,
აი მზე,
გულო, ამ მზით აივსე!
აი ვაზი,
აი ყანა,
ვისი არის ეს ქვეყანა?
იმ პატარა კარგი ბიჭის,
ჯერ რომ უჩანს
ორი კიჭი.
ღმერთო,
მიეც საიმედოდ
საქართველოს მოვლის ნიჭი!



## მზია ჩხეტიანი
# სიმღერა «დედა ენაზე»

წერას როგორ არ ვისწავლი!
კითხვას როგორ არ ვისწავლი!
ჩემს წიგნში რომ ფურცლებია,
სულ იის და ვარდის არის!
შიგ ჩიტები ჰღურტულებენ
ზღაპრისანი, მართლისანი,
პანგები რომ მომაგებეს,
ჩვენი მზის და მთვარის არის!
ცა და მიწა დამანახეს
ათას უცხო მხარისანი;
მათგან დედა საქართველოც
უკეთესად გავიცანი,
მიყვარს ჩემი ,,დედა ენა“
დედასავით საფიცარი.



მხატვარი
ნანა სანაია



## ლალი ჯაფარაშვილი

გემი ზღვაში გავიდა,
გაიყოლა სამი და.
წაედევნა დელფინი, ჩხავიანი და ხტიალი,
დელფინს მისდევს ლლავი
და ჩავარდნილი ნავის

ვანო ჩხიკვაძე

## საფეხბურთო კლუბი «ორბი»

„ორბი!“ „ორბი!“ -
ამოქროლდი.
ბედნიერი მომავლიდან,
ბიჭი სიმღერით რომ მორბის,
გამარჯვების გოლს გაიტანს.
ჰა, ბურთი და მოედანი,
აბა, მარდად, სწორდი, იარ!
არასოდეს დაივიწყო,
ორბი ხარ და ორბი გქვია.
ბურთი მარჯვნივ,
ბურთი მარცხნივ,
მეკარესთან დარჩი მარტო -
შენს ჯიშ-ჯილაგს ნუ შეარცხვენ,
იყოჩაღე, ცენტრფორვარდო.
„ორბი!“ „ორბი!“ -
ტრიბუნები,
გუგუნებენ მომავლიდან.
ბიჭი, სიმღერით რომ მორბის,
გამარჯვების გოლს გაიტანს.

სალომე ომიაძე

## წერილი წერომ

- ჩქარა, წერა მასწავლეთ,
მინდა, რომ მივწერო,
მომიყვანოს და ან ძმა
გრძელნისკარტა წერომ.

## სახუმარო

- დედა, თურმე გდომია,
ბიჭი ვყოფილიყავი.
ჰოდა, მამას გოგო ვარ,
იტირე და იყავი!

მხატვარი ზაურ დეისაძე






ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო არსენაშვილი

## მზეთუნახავო!

მზეთუნახავო,
მზეს თუ ნახავო,
ნუ დაივიწყებ,
მეც რომ მახარო,
მას სხივი უძღვენ ახალ-ახალი
და მზე იქნება შენი მაყარი.



დალი მაზმიშვილი

## ღამურები

ღამღამობით ღამურები
ბაასობენ ღობესთან,
რა ქნან აბა, მარტოობა
ღამურებსაც მოჰბეზრდათ.

მხატვარი
ნინო ჩაკვეტაძე



ლადო ასლამაზიშვილი

## ვანიკო და ბებია

გაჯიუტდა ვანიკო,
რამდენს ეხვეწებიან,
ბაღში ისე არ წავა,
თუ არ გაჰყვა ბებია.
- ჯარში რომ გაიწვევენ,
მაშინ რას იზამს ვანო?!
- მარტო ფეხს არ გაადგამს,
ბებოს თან წავიყვანო!

ქარიყლაპიას — ხამსა, —
გადმოქცევია ნავსა...
ნავს მიჰყვება
ნისლის ფარდა
და სათქმელიც
გამითავდა!



მხატვარი თეა მიქაია



მზია მექერიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დედის ნებიერა

ერთ დიდ ტყეში, ერთ ჩვეულებრივ სოროში, ცხოვრობდა კურდღლების ოჯახი: დედა – კატო, მამა – კოტე, შვილები – კოწო, კეკე, კნაწა და კუწო. როცა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათთან ერთად ბაჭიებიც უნდა წასულიყვნენ სარჩოს საშოვნელად, კუწომ წუწუნი დაიწყო:

– თქვენსავით ძლიერი არა ვარ. არ შემიძლია ტყეში ხეტიალი და თავის რჩენა. თითოეულმა თქვენგანმა ცოტ-ცოტა ბალახი რომ მომიტანოს, არაფერი დაშავდება.

კოტე გაბრაზდა:

– ზარმაცი ყოფილხარ, კუწო! მე კი სიზარმაცეს ვერავის ვაპატიებ. თუ ჩვენთან ერთად არ წამოხვალ, მშიერი დარჩები!

კოტე სოროდან გამოძვრა, შვილები უკან მიჰყვნენ. კატომ კი კუწოს მიუალერსა:

– ნუ იდარდებ, შვილო, დედა მშიერს არ დაგტოვებს!

ბაჭიას შუბლზე აკოცა და ქმარ-შვილისკენ გაცუნცულდა.

დღე დღეს მისდევდა. კოტრიალობდა კუწო სოროში და ტკბილად შეექცეოდა დედის მოტანილ საჭმელს. კოტე ხშირად უწყრებოდა ცოლს:

– ასე თუ ელოლიავე, იცოდე, მაგისგან კურდღელი არ დადგება!

– ტყუილად ნერვიულობ, კოტე, ჩვენი კუწო ჯერ პატარაა. გაიზრდება და, ნახავ, რა ვაჟკაცი დადგება! ვხედავ, რომ ჯერ არ შეუძლია თავის რჩენა. მე კი დედა ვარ და ორ ლუკმა ბალახს არასდროს დავაყვედრი შვილს.

– კარგი, კარგი, აღარაფერს ვიტყვი. მალე დაინახავ შენი ზრუნვის ნაყოფს.

გავიდა რამდენიმე თვე. ბაჭიები დაიზარდნენ, ოჯახები შექმნეს და დედმამისეული სორო დატოვეს. კუწო ძველებურად ცხოვრობდა. დედას კი უკვე უჭირდა მისი გამოკვება. დიდმა ჯაფამ ისე დაასუსტა კატო, რომ ერთ დღეს სოროდან გამოსვლაც ველარ შეძლო.

შუადღემდე ითმინა შიმშილი კუწომ და მერე ცხარე ცრემლით ატირდა. აღარ შეეცოდა შვილი კატოს.

– ნუ ტირი, კუწო, პატარა აღარ ხარ! შენმა დაძმამ ოჯახები შექმნა, საკუთარი სოროები გათხარა, შენ კი კალთიდან არ მცილდები. დროა, გახვიდე გარეთ! საკვებს მოძებნი, მეგობრებს გაიჩენ, ცხოვრებას გაიხალისებ. თხუნელასავით მიწაში ხომ არ გაატარებ სიცოცხლეს?!

კუწოს არ მოეწონა დედის დარიგება, მაგრამ შიოდა და რა ექნა?! ძლივს გამობობღდა სოროდან. დღის სინათლეს მიუჩვეველმა, კარგა ხანს ვერ გაახილა თვალი. იჯდა გაუნძრევლად. ტყის ბინადრებმა შენიშნეს და გაოცებულებმა დაუწყეს ცქერა.

– რა უნდა იყოს ნეტავ? – ჰკითხა ციყვმა ყვავს.

– რა ვიცი, ბეწვი კურდღლისას მიუგავს, მაგრამ ორასი წელია, რაც ვარსებობ და ასეთი მსუქანი კურდღელი ჯერ არ მინახავს.

– გრძელი ყურები რომ არ ჰქონდეს, დათვის ბელი მეგონებოდა, – საუბარში ჩაერთო გუგული.

როგორც იქნა, კუწომ თვალი გაახილა და, ახლომახლო ბალახი რომ ვერ დაინახა, გაბაჯბაჯდა.

– ეს ის უქნარა კურდღელი იქნება, სარჩოს ზიდვით წელში რომ გაწყვიტა დედა, – დაასკვნა ციყვმა.

– წელამკვდარა!

– უსირცხვილო!

– ეტყობა, მოშივდა მუცელღმერთას და, დედამ რომ ველარაფერი მიართვა, სარჩოს საძებნად გამოსვლა იკადრა.

შერცხვა, ძალიან შერცხვა კუწოს:

– რომ მცოდნოდა, ასეთი ამბავი ატყდებოდა, დაღამებამდე ცხვირს არ გამოვყოფდი გარეთო.

მაგრამ რაღას უშველიდა!

იბობღა, იბობღა და ქორფა ბალახს წააწყდა. ჯერ დედას წაუღო ერთი ბლუჯა ბალახი, შემდეგ დაბრუნდა და თვითონაც დანაყრდა.



მხატვარი თამარ ლოლუა

ვიქტორ ჯაფიაშვილი

# რატომ რცხვენია მთვარეს დედამიწისა?

(ასტრონომიული ზღაპარი)

ყველამ იცის, მთვარე დედამიწის ერთადერთი შვილია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, რომ ჩვენი ღამის მნათობი ბავშვობაში ძალიან ცელქი ბიჭი ყოფილა. ამიტომ დედამიწა მას შორს არასოდეს უშვებდა, აიძულებდა სულ მის გარშემო ევლო და თვალი არ მოეცილებინა მშობლისთვის. მთვარეც ემორჩილებოდა თავის ბედს.

მაგრამ ერთხელ, მარტო თამაში რომ მოსწყინდა, მთვარე მაინც გაეპარა დედიკოს და პლანეტა მარსის შვილებთან წავიდა სათამაშოდ.

მარსი დედამიწასთან ახლოს ცხოვრობდა. იგი მეტად შარიანი კაცი იყო, რის გამოც ხალხმა ომის ღმერთი შეარქვა. ამ მიზეზით დედამიწა ცდილობდა მასთან მეტად ფრთხილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა. განსაკუთრებით არ მოსწონდა მარსის მოჩხუბარე ვაჟები: ძმები ფობოსი და დეიმოსი. სულ ეშინოდა, ჩემს შვილს რაიმე ხიფათი არ შეამთხვიონო. ეს ბერძნული სახელები მათ მამამ შეურჩია. ქართულად ფობოსი შიშს ნიშნავს, ხოლო დეიმოსი — საშინელებას. მარსს უნდოდა, მისი შვილები მამასავით მეომრები გამოსულიყვნენ და სულ ჩხუბსა და დავიდარაბაში გაეტარებინათ თავიანთი ცხოვრება.

მთვარე სწორედ პობოსსა და დეიმოსთან წავიდა სათამაშოდ. მათ ძალიან გაუხარდათ მთვარის მისვლა. ერთხანს შეხმატკბილებულად ითამაშეს, მაგრამ მალე მოულოდნელი შფოთი მოხდა: მარსის შვილებმა თვალი მოჰკრეს ორ მოსეირნე გოგონას. ისინი კოსმოსში მცხოვრები მცირე პლანეტები იყვნენ, იუნონა და ცერერა. მთვარე მათ კარგად იცნობდა. ერთად დადიოდნენ საბავშვო ბაღში. პობოსი და დეიმოსი კი პატარა გოგონებს არ იცნობდნენ და მათ ხულიგნურად მოექცნენ: კოსმოსური მტვერი მოხვეტეს და სახეში შეაყარეს. გოგონებმა ტირილი დაიწყეს. მთვარეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ როგორმე დაეშოშმინებინა მარსის შვილები და გაეთავისუფლებინა გოგონები მათი ძალადობისგან.

ამასობაში მთვარეს შინ დაბრუნება შეაგვიანდა. ღელავდა, ღამე ახლოვდებოდა და ჩემ გარდა ცას სხვა ვინ გაანათებსო. ესეც არ იყოს, ის ხომ დედის დაუკითხავად წავიდა მარსის შვილებთან სათამაშოდ. ცხადია, დედამისი, დედამიწა, ძალიან წუხდა, ნეტავ სად დაიკარგა ჩემი შვილიო!



მთვარე შინ რომ ბრუნდებოდა, უცბად მეტეორიტული წვიმა წამოვიდა. მოგეხსენებათ, ასეთი წვიმა წყლის წვეთებისგან კი არ შედგება, ქვის კენჭებსა და, ზოგჯერ, რკინის ნაჭრებსაც კი შეიცავს. მთვარეს კი საგანგებო ქოლგის წაღება დაავიწყდა. ეს ისეთი ქოლგაა, კარგად რომ იფარავს პატრონს მეტეორიტული წვიმისაგან. რა უნდა ექნა? მთვარე მოიკუნტა, თავ-პირი გადაირჩინა, მაგრამ ზურგს ვერაფერი უშველა. მეტეორიტულმა წვიმამ სულ ერთიანად დაუხორკლა ზურგი.

შინ რომ დაბრუნდა, დედას ოთხასი ათას კილომეტრზე ახლოს აღარ მიეკარა, დედამიწის ირგვლივ შეუჩერებელი მოძრაობა დაიწყო. თანაც იგი დღემდე ისე მიმოიქცევა სულ თვალებში მისჩერებია დედას, ზურგს კი არასოდეს უჩვენებს. რცხვენია ცუდად რომ მოიქცა და ასეთი რამ დაემართა.

დედამიწამ რაღა მოიმოქმედა? მან მთვარისკენ გაგზავნა კოსმოსური ხომალდები. მათ შემოუარეს ირგვლივ მთვარეს, გადაიღეს მისი ზურგის ფოტოსურათები და ჩამოიტანეს ჩვენთან. ამ სურათებს რომ გაეცნო, დედამიწისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. დედა-შვილს შეხლა-შემოხლაც მოუვიდა. ბოლოს და ბოლოს დედამიწამ მთვარეს აპატია ცუდი საქციელი და მოეფერა კიდეც მას. თავის მხრივ, მთვარემაც ბოდიში მოიხადა და აღუთქვა დედამიწას, შენ ჩემი საყვარელი დედიკო ხარ და აღარასოდეს არ გაწყენინებო.



მხატვარი ქეთი გიგიშვილი

## კონკურსში გამარჯვებული!

*ძვირფასო რედაქცია! მინდა მონაწილეობა მივიღო კონკურსში და ვწერ პატარა ამბავს ახო „შ"-ზე.*

### შიში

მუშისფერი მემოდგომა მორდებოდა მორეთს. მევარდენისგან მემინებულმა მომიამ მეილები მავ მამეს მეტოვა. მემფოთებულმა მავი მამა მეამჩნია, მივ მევარდა; მიშმა მეიპყრო.

მურიანმა, მიმმილისგან მეწუხებულმა მევარდენმა მომია მეამჩნია. მორიდანვე მარი მეაგება.

მომია მეკრთა, მეფრთხიალდა, მევხვეწა მევარდენს, მეილები მემიბრალეო.

მევარდენმა მეინდო მომია.

– შენი მეილები მემეცოდა, – მავი მუბლი მეიჭმუხნა მმაგმა მევარდენმა, მომიას მემოუფრინა, მეიჭრა მორეულ მორეთში.

**კობა მჭედლიშვილი**, *თბილისის 74-ე სკოლის II კლასის მოსწავლე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ხელმწიფის შვილისა, ვინც ბედი გამოსცადა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფის შვილი. ერთხელ მამას უთხრა: – მამავ ბატონო, გადავწყვიტე, რომ ქვეყანა ვნახო, ბედი გამოვცადო. მხოლოდ გთხოვ, ჩემი მოხუცი მსახური გამატანო.

– კარგი, შვილო, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. შენი ერთგული მსახურიც წაიყვანე, ოღონდ თავს გაუფრთხილდი, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო.

მოემზადა გასამგზავრებლად ხელმწიფის შვილი და მართლაც სისხამ დილით გაუდგა გზას თავის მოხუც მსახურთან ერთად. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ ერთ ულრან ტყეს. შევიდნენ ტყეში და იქ ერთ წყაროს წააწყდნენ. გადაწყვიტეს, რომ იქვე, წყაროს პირას ჩამომსხდარიყვნენ, რათა ცოტა ხნით შეესვენათ და თან წაეხემსათ კიდეც.

როდესაც საუზმეს მორჩნენ, უეცრად ერთი გრძელწვერა ქონდრისკაცი გამოჩნდა, რომელიც მხარზე გადადებულ მოკლე ჯოხს ძლივს მოათრევდა. ეტყობოდა, რომ ჯოხი მძიმე იყო. როგორც კი ხელმწიფის შვილსა და მის მსახურს მიუახლოვდა, ქონდრისკაცი წყაროში ჩახტა და თვალის დახამხამებაში სადღაც გაუჩინარდა.



ხელმწიფის შვილი მაშინვე თავის მსახურს მიუბრუნდა და უთხრა:

– მეც ახლავე კვალდაკვალ უნდა მივყვე იმ ქონდრისკაცს, რადგან გული მიგრძნობს, რომ ნამდვილად ზღაპრული სამეფოსკენ გაემართა. შენ კი, ჩემო ერთგულო მსახურო, დაბრუნდი შინ და მამაჩემს უთხარი, სადა ვარ: ერთი წლის მერე თუ არ დავბრუნდი, მაშინ მართლა მკვდრად მიგულოს და ჩემი სული მოიხსენიოს ხოლმე.

ეს უთხრა თუ არა, ხელმწიფის შვილი წყალში ჩახტა, ღრმად ჩაყვინთა და ერთ წამში მშვენიერ მდელოზე ამოყო თავი. მიიხედ-მოიხედა და თვალი მოჰკრა ოქროს ციხედარბაზს, რომელიც გარედან მთლიანად შავი ფერის ქსოვილებით იყო მოფენილი. გაოცებულმა ხელმწიფის შვილმა იქვე, შორიახლოს მდგომ უცნობ კაცს ჰკითხა, რატომ იყო ციხე-დარბაზი შავებში გახვეული.

– ჩვენი ქალაქის გარეთ ერთი ტბაა, რომელშიც შვიდთავიანი გველეშაპი ბინადრობს. გველეშაპს ყოველ ცისმარე დღეს ერთი ახალგაზრდა ასული უნდა მიართვან სადილად, თორემ მთელ ქალაქს ნაცარტუტად აქცევს. ახლა სწორედ მეფის ასულზე მიდგა ჯერი და ამიტომაც არის, რომ ციხე-დარბაზი შავი ფერის ქსოვილებშია გახვეული. არც არავინ ჩანს, რომ მეფის ასულს გამოესარჩლოს და სიკვდილს გადაარჩინოს. ვინც გველეშაპს შეებრძოლება და დაამარცხებს, მას მეფე თავის ასულსაც მიათხოვებს და ტახტსაც მისცემს, – მიუგო უცნობმა.



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

ხელმწიფის შვილი ცოტა ხანს დაფიქრდა. მერე გადაწყვიტა, ბედი ეცადა, შებრძოლებოდა გველეშაპს, რომელიც ღვთის შეწევნით, იქნებ მოეკლა კიდეც და მეფის ასული სიკვდილს გადაერჩინა.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ შავებში ჩაცმული მეფის ასულიც გამოჩნდა. არც ციხე-დარბაზიდან და არც ქალაქიდან, მას არავინ გამოჰყოლია. გვერდით არავინ მოჰყვებოდა, გარდა ჯალათისა. შორს კი თორმეტი კაცისგან შემდგარი ბოშათა ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავდა.

როდესაც ჯალათი და მეფის ასული ტბას მიუახლოვდნენ, შვიდთავიანი გველეშაპი იქვე, ტბის პირას გაწოლილიყო და უმანკო მსხვერპლის მოლოდინში შვიდსავე პირს საზარლად აღებდა.

უცებ ხელმწიფის შვილი ადგილს მოსწყდა, მეფის ასულთან გაჩნდა, ხელში ხელი წაავლო და გველეშაპს მოაშორა.

მერე მიბრუნდა და გველეშაპს შეება. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ორივეს სისხლი სდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელმწიფის შვილმა სძლია და გველეშაპს ექვსი თავი გააგდებინა. გველეშაპმა ხვეწნა დაუწყო რაინდს, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა და მეშვიდე თავი არ მოეჭრა, მაგრამ ხელმწიფის შვილმა ყურად არ იღო მისი ხვეწნა-მუდარა და მეშვიდე თავიც წააგდებინა.

როგორც კი გველეშაპს ბოლო მოუღო, მაშინვე მეფის ასულს მიუბრუნდა და უთხრა:

– მეფის ასულო, ახლა კი წავიდეთ ციხე-დარბაზში, რომ დამგლოვიარებული მამათქვენი გავახაროთ.

როდესაც ციხე-დარბაზში მივიდნენ, ქალიშვილის გადარჩენით გახარებულმა მეფემ თავისი სიტყვა შეასრულა, ვაჟს ქალიც მიათხოვა, ტახტიც მისცა და თან დიდებული ქორწილიც გადაუხადა.

გავიდა ზუსტად ერთი წელი და ხელმწიფის შვილს გაახსენდა, რომ თავის სამეფოში უნდა დაბრუნებულიყო. სასწრაფოდ სამგზავროდ გაემზადნენ და ეტლით, რომელშიც ექვსი ცხენი იყო შებმული, ხელმწიფის შვილის სამეფოსკენ გაემგზავრნენ. იქაური ხელმწიფე თავისი ამალითურთ ზეიმით შეხვდა ნეფე-პატარძალს.

დიდი ქორწილი გადაიხადეს. სასახლეში ქეიფი და ლხინი კარგა ხანს არ შეწყვეტილა და სიკვდილამდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

უნგრულიდან თარგმნა
ვანო იმერლიშვილმა



# თამარს ვაქებდეთ მეფესა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფეთ მეფე თამარი. ბეთანია. კედლის მხატვრობა.



## თამაზ ნატროშვილი

ოთხმოც წელს მიტანებული ქართველი პოეტი, იმავდროულად — გენერალი მეფის რუსეთის არმიისა, შეჰყურებს თამარ მეფის ფრესკას ბეთანიის ეკლესიაში. მისი ხანდაზმული სული მწუხარებას შეუპყრია, უიმედობით გულმოკლული გრძნობს, რომ მოახლოებულა სიცოცხლის აღსასრული და კიდევ ერთხელ ლამობს, ეზიაროს იმ სინათლესა თუ აუხდენელ ოცნებას, რომელიც ანუგეშებდა და ამხნევებდა თავისი მშფოთვარე ცხოვრების გზაზე.

ოთხმოც წელს მიტანებული გრიგოლ ორბელიანი კრძალვით შეჰყურებს თამარის მშვენებით აღსავსე სახეს და ცრემლმორეული წარმოთქვამს: „მიხარის — გიმზერ, ვწუხვარ — და გიმზერ“. სურს, რომ გაიხანგრძლივოს ნეტარი წუთები, აღარ დაუბრუნდეს პირქუშ სინამდვილეს, გადაივიწყოს „სამშობლოს სულით დაცემა“. პოეტი ევედრება სახელოვან წინაპარს, რომ მოხედოს ბედკრულ მამულს, ისევ აკურთხოს ჯვრით, როგორც სალაშქროდ შეყრილ ჯარს აკურთხებდა ხოლმე; შეეწიოს საქართველოს ძლიერების აღდგენას, რათა მისი ხალხიც „დადგეს ერად სხვა ერთა შორის“, გამოიღვიძოს, სული განუახლდეს და „განქრეს ბნელი უმეცრებისა“.

თამარ მეფის სახე, საუკუნეთა მანძილზე, მისივე დროიდან დღემდე, უბადლო მუზად ევლინება ქართველ პოეტთა შთაგონებას. აგერ, გავიხსენოთ: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი“ (ჩახრუხაძე); „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“ (შოთა რუსთაველი);

„რუსთველის ქებას ჩვეულო, მეც ქებას გაგიბედაო“ (ვაჟა-ფშაველა);

„თამარ, ღვთაებავ, თამარ მზეო, მზეო ჩასულო!“ (ირაკლი აბაშიძე).

მაგრამ მარტოოდენ ქართველი პოეტები როდი ასხამდნენ ხოტბას. თამარის სახელი და საქმენი ასახულა უცხოურ მწერლობაშიც. დამსახურებულ პატივს მოწიწებით მიაგებდნენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანებიც.

თითქმის საუკუნე იქნება, რაც ცნობილი შეიქნა ჩვენში თამარის თანამედროვე ჯვაროსანი რაინდის წერილი, საფრანგეთში რომ გაუგზავნია პალესტინიდან. იგი მოგვითხრობს ქართველების ძლევამოსილ ლაშქრობას მაჰმადიანთა წინააღმდეგ და „დედოფლის უძლიერესის თამარის“ ანდერძს მისი ცხედრის იერუსალიმში დაკრძალვის თაობაზე.

ასევე კარგად არის ცნობილი, რომ XVI საუკუნის რუსეთში შეიქმნა თქმულება თამარ მეფეზე და თვით ივანე მრისხანე თურმე თამარის მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს ბრძოლის ველზე.

სახელგანთქმული სპარსელი პოეტი ნიზამი განჯელი ამგვარად გვაცნობს თამარს: „მან თითისტარი შუბად აქცია და ჩვენ კი შუბი — თითისტრად“.

ნიზამი ერთი სხარტი გამოთქმით გვიხატავს თამარ მეფის მოღვაწეობის დედაარსს. მას, რასაკვირველია, ეუცხოება სამეფო ტახტზე ასული ქალი და მით უმეტეს — მისი სამხედრო-პოლიტიკური წარმატებანი, მაგრამ არც თავისი სარწმუნოება და არც დაძაბული ურთიერთობა საკუთარ მბრძანებელსა და ქრისტიანულ საქართველოს შორის ხელს არ უშლის, რომ თამამად გაუსწოროს თვალი მწარე სინამდვილეს.

ასევე თამარის თანამედროვე სპარსელი მემატიანე, რომლის თხზულებამაც შემოგვინახა ნიზამის ზემოხსენებული ლექსი, იმდროინდელი აღმოსავლეთის ყველაზე გამორჩენილ მმართველთა შორის მოიხსენიებს თამარ მეფეს: „და იყო ქალი, სახელად თამარ, თბილისისა და საქართველოს ხელმწიფე“.

მართალია, ქართულ საისტორიო თუ მხატვრულ ძეგლებში, ხშირად, თანასწორუფლებიან მეფეებად ჩანან თამარი და მისი მეუღლე — სახელოვანი სარდალი დავით სოსლანი, მაგრამ არაბულ-სპარსული წყაროები ერთხელაც არ მიუთითებენ თამარის მეუღლის სახელს. გარე სამყარო საქართველოს ხელმწიფედ მხოლოდ და მხოლოდ თამარს იცნობდა.



ამასთან ერთად, არსებობს თამარისა და დავითის მონეტა, დათარიღებული 1200 წლით. მონეტის შუბლზე ქართული ასომთავრულით აღნიშნულია მათი სახელები, ხოლო მონეტის ზურგზე მოთავსებული არაბული წარწერა საქართველოს ხელმწიფედ მარტოოდენ თამარს ასახელებს: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

საგულისხმო სურათს გვაწვდის ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მონეტებიც. ისინი თავიანთი შთამომავლობის აღსანიშნავად ახსენებენ დედის სახელს: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა“ და „დედოფალი დედოფალთა რუსუდან, ასული თამარისა“.

თამარის დროინდელი საქართველო, ისევე როგორც დავით აღმაშენებლისა, აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველად და ქომაგად მიიჩნევდა თავს. როდესაც არდებილის სულთანმა ქალაქი ანისი ააოხრა და ეკლესიები სომეხ ქრისტიანთა სისხლით მორწყა, დამსჯელი ლაშქარი დაუყოვნებლივ დაიძრა თბილისიდან არდებილისკენ. სომეხი მემატიანე ვარდანი ტყუილად როდი წერდა: თამარის მეფობის ჟამს ქრისტიანები გაძლიერდნენო.

კულტურის უჩვეულო გაფურჩქნა, ეკონომიკური წინსვლა, ჰუმანური მართლმსაჯულება — ყოველივე ის, რასაც „ოქროს ხანას“ ვუწოდებთ, განუყოფლად არის დაკავშირებული თამარის სახელთან.

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისათვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური სიმამაცე, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული“.

ინგლისელი მკვლევრის უილიამ ალენის სიტყვით, „თამარი იყო ბრძენი მმართველი, ფრთხილი და გონიერი დიპლომატი, მედგარი მებრძოლი; ღვთისმოსავი, გულმოწყალე და შემწყნარებელი ხელმწიფე“.



თამარ მეფის სპილენძის მონეტა, რომელზეც ქარაგმით ორი სახელია ამოტვიფრული – „თ-რ“ და „დ-თ“.

ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე მარიუს კანარი აღნიშნავს: „თამარის პოლიტიკის წარმატებამ იგი აქცია ყველაზე პოპულარულ ფიგურად ქართველების ისტორიასა და ლეგენდებში... მისი სილამაზე აღაფრთოვანებდა ქვეშევრდომებს და უბიძგებდა საგმირო საქმეებზე, გამარჯვებათა გზას უნათებდა ქართველ მხედართმთავრებს“.

1915 წლის მაისია. ორი თვეღა დარჩენილა ვაჟა-ფშაველას სიკვდილამდე, რომელიც უკვდავებას მიანიჭებს დიდებულ პოეტს, ამქვეყნიურმა ცხოვრებამ შხამი და ნაღველი უხვად რომ უწილადა. ხოლო უკვდავება თავს ერთად უყრის ყველა ღირსეულს, მეფე იქნება თუ მდაბიო, ბედისგან განებივრებული თუ სასტიკად დაჩაგრული.

იწყება პოეტის უკვდავება და უკვე მომავალ თაობათა, მომავალ საუკუნეთა პირით ევედრება იგი თამარ მეფეს: „მოწყალედ გვექმენ ქართველთა, ჩვენო ლამაზო დედაო!“








## გიორგი და ლაშა ცერცვაძეები

მცხეთის მე-2 სკოლის მოსწავლეები







## ლაშა კობახიძე

12 წლის





## ანა ბუჩუკური

6 წლის

* * *

წყვდიად ღამეში
ბრწყინავს ვარსკვლავი,
თითქოს ფერია
გვეწვია ციდან,
ჩემი თვალებიც
დახუჭა ძილმა.

* * *

ასე მგონია, დაკარგულია
ცა და ღრუბლები,
ახლა ღამეა,
ირგვლივ მღერიან წვიმის
წვეთები,
გაზაფხულია.



## ნინო გრიგალაშვილი

ქ. თბილისის იტალიური სკოლის II კლასის მოსწავლე

## დედა და დედამიწა

დედამიწაზე ბევრი ქვეყანაა. მათ შორის ჩემი სამშობლო საქართველო, რომელიც ყველაზე ლამაზი და კარგია.

სიტყვა დედამიწა წარმოიქმნება სიტყვა დედისგან. როგორც დედაა საყვარელი და კარგი შვილისთვის, ისე დედამიწაა საყვარელი და კარგი ყველასთვის, ვინც დედამიწაზე ცხოვრობს. დედამიწაზე ცხოვრობენ ადამიანები, ცხოველები, ფრინველები და ისინი სხვა პლანეტაზე ვერ გაძლებენ, რადგან მათი სამშობლო დედამიწაა.

ვინაიდან მე ყველაზე მეტად მიყვარს დედა ყველაზე ძვირფასი სახელიც დედისგან წარმოიქმნება. არ შეიძლება დედის გაბრაზება და არც დედამიწის.

დედამიწაზე მოდის მოსავალი, რაც საჭიროა ადამიანებისთვის.

დედამიწას ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც დედას.





## თათია კევლიშვილი

თბილისის 74-ე სკოლის I კლასის მოსწავლე

მიშიკო ჯანელიძე, 10 წლის

# დაჯო და ზუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოხდა დიდი ხნის წინ საქართველოს ერთ-ერთ მთიან კუთხეში. უღრანი ტყის პირას, სოფლიდან მოშორებით ქოხი იდგა, ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი და სუფთა. ამ ქოხში ერთი მუყაითი ქალი ცხოვრობდა. მძიმე პირობების გამო მალე დაბერდა, ჭაღარა თმა და ნაოჭებით დაღარული სახე ჰქონდა. თავს იმით ირჩენდა, რომ ბაზარში ხან კენკრა, ხან სოკო გაჰქონდა გასაყიდად, ხან კი ფიჩხს ეზიდებოდა.

ქალი ბავშვს ზრდიდა, უსაზღვროდ უყვარდა და ამაყობდა. გოგონას დარეჯანი ერქვა, მოფერებით — დაჯო. ძალიან ლამაზი იყო: შავთვალება, ვარდისფერლოყება, ოქროსთმიანი. გლეხებმა მზეთუნახავად მონათლეს, მეფის ასულს ჰგავსო, ამბობდნენ. ამდენი ქებით გოგონა გათამამდა და თავკერძა და უგულო მოთავისედ გაიზარდა. მალე სურვილი გაუჩნდა, ისეთი ადამიანი ჰყოლოდა გვერდით, რომელიც ეთამაშებოდა და ემსახურებოდა, მის ნებისმიერ სურვილს შეასრულებდა. ტყეში ცხოველებს კი ეთამაშებოდა, მაგრამ ცხოველები ველურები იყვნენ და მლიქვნელობა არ ეხერხებოდათ.

ამიტომ, როცა ტყეში მეზობელი სოფლის ბიჭი ზურაბი — ზუკა — გამოჩნდა, გოგონა დიდი სიხარულით შეხვდა, იფიქრა, ნებისმიერ სურვილს და ბრძანებას შემისრულებსო. ასეც მოხდა. ბიჭს ძაღლი ჰყავდა — ბაქსი. ბაქსი ბიჭუნას არ სცილდებოდა. გოგონასაც ადვილად მიეჩვია...

მაგრამ ერთმა უბედურმა შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. დაჯომ ტყეში ფეხი გაიჭრა. ჯერ მხოლოდ სტკიოდა, მერე კი ფეხი გაწითლდა, გახურდა, სიცხემ აუწია. გოგონას დედა ღარიბი ქალი იყო და ექიმის მოყვანა გაუჭირდა, ასეთები სოფელში არც იყვნენ, და ადგილობრივი ექიმბაში მოიყვანა. ექიმბაშის დასკვნა ასეთი იყო: ავადმყოფი მოწამლულია და განწირულია, მაგრამ შორეულ მხარეში, ცხრა მთის იქით, განმარტოებულ კლდეზე სასწაულმოქმედი ვაშლის ხე იზრდება, ვაშლები სამკურნალოა, და ის თუ მოარჩენსო.

ვინ უნდა გაეშვა დედას შორეულ მხარეში?! ზუკამ მაშინვე გადაწყვიტა, მე წავალ ვაშლის მოსატანადო და მეორე დღესვე ძაღლთან ერთად გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, იმ კლდეს მიაღწია, ვაშლის ხეც დაინახა. ბიჭმა მაშინვე ხეზე ასვლა დაიწყო, მაგრამ ტოტი, რომელსაც ხელი მოჰკიდა, მოტყდა და ზუკა უფსკრულში ჩავარდა. ძაღლმა სირბილი დაიწყო, ყეფდა და ყმუოდა, მაგრამ ამაოდ. მერე კი მის პატარა თავში გადაწყვეტილებამ გაიელვა: სტაცა ხის ძირში ჩავარდნილ ვაშლის ტოტს პირი და დაჯოს სახლისკენ მოჰკურცხლა.

გოგონამ ვაშლი შეჭამა თუ არა, გამოჯანმრთელდა. ამასობაში გლეხებმა ბიჭის ცხედარი იპოვეს და სოფელში დაასაფლავეს. უბედურება ის იყო, რომ ამ ამბის მერე უგულო გოგონა ერთხელაც არ მისულა საფლავზე: ჯერ სუსტად იყო, მერე, როცა მოიკეთა, გასართობად სხვა მეგობრის ძებნა დაიწყო.

ბიჭის საფლავი თანდათანობით სარეველამ დაფარა.

გავიდა წლები, დაჯო გაიზარდა, გათხოვდა, მის ცხვრებაში თითქოს ყველაფერი კარგად იყო, რომ არა წელიწადში ერთი ღამე — ბიჭის სიკვდილის წინა ღამე სექტემბერში, ანუ, ძველებურად, ენკენისთვეში. როცა ბადრი მთვარე მძინარე დაჯოს სახეს გაანათებდა, გოგონა უცნაურ სიზმარს ხედავდა: თითქოს ძაღლი ბაქსი ყეფით უახლოვდებოდა, კბილებით კაბის კალთაზე ეჭიდებოდა და სადღაც მიჰყავდა. დარეჯანმა იცოდა, სად უნდა წასულიყო, მაგრამ ხელ-ფეხს ვერ ამოძრავებდა და უძლურებისგან კვნესას და ტირილს იწყებდა. მაშინ დედა და ქმარი ადგებოდნენ და შუბლს უგრილებდნენ. ქალიც თანდათან წყნარდებოდა და დილამდე მშვიდად ეძინა. დილით კი ყველაფერს ივიწყებდა, მხოლოდ შიში რჩებოდა მომავალი ენკენისთვის მოლოდინში. მაღალი ღმერთი ხომ ცოდვას მაშინვე ხედავს, ცოდვილისგან მონანიებას კი მთელი დარჩენილი ცხოვრება ელოდება.

დახატა ლაშა კობახიძემ





# მოგზაურის დღიურები

ერთიანი ბიბლიოთეკა

პირველი ჩანაწერები პატარა მოგზაურის თვალით დანახულ საქართველოზე

ორშაბათი





აპრილი

26 სამშაბათი

დღეს 26 აპრილია. მთელი ღამე წვიმდა, [illegible] მოგზაურობა 7 სთ. [illegible] შ.პ.ს. „[illegible]" [illegible]



4 ოთხშაბათი

მაისი

დღეს 4 მაისია, ავდექით 9 სთ. [illegible] 27 კმ. და წავედით [illegible]

5

მაისი





უკვე სამი თვე გავიდა, რაც რუსთავიდან საქართველოს ფეხდაფეხ შემოსავლელად ორ უფროს მოგზაურთან ერთად ათი წლის გიორგი ბართაია ზურგჩანთააკიდებული, ქუდზე წითელი წარწერით — „დილა“, დიდი ენთუზიაზმით და მოგზაურობის ჟინით შეპყრობილი გაუდგა გზას. როგორც გახსოვთ, პირველი ეტაპი თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის შემოვლას ითვალისწინებდა. რთული გზა და წვიმიანი ამინდები მოგზაურთათვის არასასურველ პირობებს ქმნიდა, მათი გულშემატკივრებისთვის კი ცნობები წყალდიდობების შესახებ შეშფოთების და ღელვის მიზეზად იქცა, მაგრამ მოგზაურობის შეწყვეტაზე საუბარიც ზედმეტი იყო. პირველი ეტაპიდან დაბრუნებულებს სიტყვაც არ დასცდენიათ არც ცუდ ამინდზე, არც დანგრეულ ხიდებსა და გზებზე: მოგზაური ყველაფრისთვის მზად უნდა იყოსო, ამბობდნენ და ამასვე იმეორებდა პატარა გიორგიც, რომელსაც გზადაგზა უამინდობაშიც კი მოესწრო გარუჯვა.

ახლა მოგზაურები უკვე მეორე ეტაპს გადიან და მოგზაურობიდან საბოლოოდ დაბრუნებული გიორგი კიდევ ბევრ საინტერესო მასალას ჩამოგვიტანს.



# მეგობრობა [illegible] და [illegible]



უკვე სამი წელია, თბილისში, ვეძისში, ერთ მყუდრო და ლამაზ შენობაში მუშაობს ქართულ-ებრაული საბავშვო ბაღი, რომლის დირექტორია ქალბატონი სვეტლანა ჩაჩანაშვილი.

ამ ზაფხულს ბაღის აღსაზრდელებმა ორი ძირძველი ერის – ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის უკვდავების დასტურად საზეიმო შეხვედრა გამართეს. პატარები თავისუფლად ფლობენ ქართულ, ებრაულ, რუსულ და ინგლისურ ენებს, მღერიან და კითხულობენ ლექსებს.













ზეიმს მშობლებთან, მეგობარი ბაღებისა და საბავშვო რედაქციების წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: ბაღის დამაარსებელი, ხაბად-დუბავიჩის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი საქართველოში, რაბინი აბრამ მიხელაშვილი, ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაფთაი ცური, კონსული – ქალბატონი მეირა საგი, აზერბაიჯანის წარმომადგენელი მიხეილ ბარკანი, ქ. სოჭის მთავრი რაბინი აიდელ კოპი.



თბილისის 74-ე საშუალოს სკოლის მოსწავლეები „დილის“ ერთგული მკითხველები არიან და თურმე კარგა ხანია ოცნებობენ რედაქციაში სტუმრობაზე. ამჯერად ჟურნალი შიდა სასკოლო შემეცნებით თამაშში „ვიყოთ ერუდირებული“ — გამარჯვებულ მეორეკლასელებს მარი ბიკაშვილს, მარი ჩხეიძეს, ბექა წიგნაძეს, საბა ძმანაშვილს, მარი ფილაურს, მარი კოპალიანს, გიორგი არსენაძეს, მეგი ცხადაძეს და თეკლა ლობჟანიძეს და მათ მასწავლებელს — ლია ხარაშვილს მასპინძლობდა.



# სტუმრად დილაში

როცა მასწავლებელმა კონკურსის გეგმა გაგვაცნო, ყველას მოგვეწონა. კონკურსს უნდა შეეჯამებინა ჩვენი სიბეჯითე და აზროვნება. ადვილი კითხვებიც იყო და რთულიც. ყველაფერი კარგად ჩატარდა.

*გიორგი არსენაძე*

„დილის“ რედაქციაში როდესაც მკითხეს, ცუდი ნიშანი ხომ არ მიგიღიაო, სწორი არ ვთქვი, რადგან ყველანაირი ნიშანი მიმიღია და ბევრიც მიტირია. როდესაც საქართველოს პირველობაზე ცოტა წავიფორხილე და მივხვდი, პირველ ადგილს ველარ ავიღებდი, იმდენი ვიტირე, რომ დაჯილდოებაზე დარჩენა აღარ მინდოდა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლია მასწავლებელს, ასე რომ დაგვაახლოვა „დილის“ რედაქციას.

*მეგი ცხადაძე*

ჩვენს კლასში სამივე სემესტრის ბოლოს ჩატარდა შემეცნებითი თამაში „ვიყოთ ერუდირებული“, ანუ „ყველაზე ჭკვიანი“. ეს მხოლოდ თამაშია, მაგრამ მე მაინც ვნერვიულობდი. როცა ნერვიულობ, შეიძლება მარტივ შეკითხვასაც ვერ უპასუხო. ისე, ძალიან კარგია ასეთი თამაშები. ვისურვებდი, მარტო ჩემს კლასელებს კი არა, უცნობებსაც გავეჯიბრო.

*ბექა წიგნაძე*

მე ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, მეგობრები და მასწავლებლები. ძალიან მიხარია ისიც, რომ ჩემს სკოლაში მიმდინარეობს რემონტი. მგონია, რომ ყველაზე ლამაზი სკოლა მექნება მთელ ქვეყანაზე.

ჩემი მასწავლებელი ყოველი სემესტრის დამთავრებისას ატარებს კონკურსს „ყველაზე ჭკვიანი“. მე ორჯერ გავიმარჯვე, ერთხელ მეორე სემესტრის ბოლოს, მეორედ — ფინალში.

*თეკლა ლობჟანიძე*

მე ძალიან მომწონს ჩვენი თამაშის სახელი „ვიყოთ ერუდირებული“, ზოგი მაინც „ყველაზე ჭკვიანს“ ეძახის. ვოცნებობ, ქართულის მასწავლებელი ვიყო და ბავშვებს ანბანი და წერა-კითხვა ვასწავლო.

*მარი ფილაური*

ძალიან მომწონს შეჯიბრება „ყველაზე ჭკვიანი“, იმიტომ რომ ბევრი რამე ვისწავლე და გავიგე. ლია მასწავლებელი გვეუბნება, ვინც კარგად სწავლობს, ის გაიმარჯვებსო. წლის „ყველაზე ჭკვიანში“ რომ გავიმარჯვე, ჩემი კლასის გოგოები შემომეხვივნენ და მომილოცეს, დედამ საჩუქრად „დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა და ენციკლოპედიის წიგნები მიყიდა.

*საბა ძმანაშვილი*

ძალიან მომწონს თამაში „ვიყოთ ერუდირებული“, რადგან შემიძლია ჩემი ცოდნის გამომჟღავნება. ვცდილობ მეტი წავიკითხო, მეტი ვიცოდე, მაგრამ თამაშის დროს გამარჯვებისთვის ცოდნასთან ერთად სისხარტეც საჭიროა.

*მარი კოპალიანი*

ლია მასწავლებელმა სამჯერ ჩაგვიტარა კონკურსი „ყველაზე ჭკვიანი“. ჩემი მეგობრები ელენე და ხატია ძალიან ჭკვიანები არიან, მაგრამ უყურადღებობის გამო ვერ გავიდნენ ფინალში. როცა მე და ბექა ვიბრძოდით პირველი ადგილისთვის, ძალიან ვღელავდი, მაგრამ სულ ტყუილად. გავიმარჯვე და „ყველაზე ჭკვიანის“ ტიტულიც მივიღე.

*მარი ჩხეიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათემატიკური ამოცანები



გიორგი მეტრეველი

* * *

მამუკას მისცეს კაკლები,
თორმეტზე ცოტა ნაკლები.
ეს რიცხვი თურმე კენტია
და ცხრაზე უფრო მეტია...
დაფიქრებულა მამუკა
და თავს იმტვრევდა მას უკან,
რამდენი მისცეს კაკალი...
იქნებ თქვენ უთხრათ მართალი!

* * *

დაგიწერო თუ გსურს ხუთი
რამდენ კილოს იტევს ფუთი?

* * *

თაიგულში ათი ვარდი
შვიდი კიდევ — მიხაკია.
სულ რამდენი ყვავილია?
მოიფიქრებს მიხა გვიან.

თაგვმა მეგობართან შესახვედრად ლაბირინთი შემდეგი თანმიმდევრობით უნდა გაიაროს: თხილი, ყველი, სოკო, თხილი, ყველი, სოკო . . . პატარა მსუნაგი ამ „გემრიელ" გზაზე რომ არ დაიბნეს, შენი დახმარება დასჭირდება.





## როგორ გავათანაბროთ სასწორი?

თუ სამი მსხალი იმდენსავე იწონის, რამდენსაც ერთი კომში, ხოლო ორი ვაშლი ერთი მსხლის წონაა, რა ხილი რამდენი დავდოთ მეოთხე სასწორის ცარიელ პინაზე რომ გავათანაბროთ?










მხატვარი ქეთი ბიბიშვილი



# კომისარ თანდილას საქმე №007

— არა, ამ ბავშვებს არაფერი ეშველათ. ვიფიქრეთ, ზაფხულში წამოიზრდებიან, ჭკუა მოემატებათ, დადინჯდებიანო...

— ზურა და ის ეშმაკისფეხი თომა, ერთი ფეხით რომ არ შემესწრო, დაფას თავზე დაიმხობდნენ.



— ის ლაშა კიდევ თავდაყირა, ხელებზე დამდგარი შემოვიდა კლასში, სწავლის დაწყება ისე გამიხარდა, სიხარულისგან ფეხზე ველარ ვდგებიო, — მომახარა. რამდენს ბედავს, ხედავთ.



— მაგან აიყოლია ის კობა და შოთაც, შარშან მშვენიერი ბავშვები იყვნენ, მაგრამ აგერ ნახავთ, წელს სისხლს გაგვიშრობენ, ისეთი პირი უჩანთ.



დირექტორი ჯერ მშვიდად ისმენდა მასწავლებლების საყვედურებს, მერე გაბრაზებულმა მუშტი მაგიდას დაარტყა და მკაცრად განაცხადა:

— ამ მერვე მეორეს ახალავე თუ არ ვუშველეთ, მერე გვიან იქნება. დღესვე მაგათ მშობლებს დავურეკავ. დამიტოვეთ ტელეფონის ნომრები!




საღამოხანს დირექტორი კობას, შოთას, ლაშას და თომას მშობლებს ელაპარაკა, აი, ზურას ტელეფონის ნომრის დაწერა კი დავიწყებოდა შეშფოთებულ დამრიგებელს. ბედად, კარი კომისარმა თანდილამ შემოაღო. სულ სხვა საქმეზე იყო მოსული, მაგრამ ეს პრობლემაც ხელად მოაგვარა. მან შენიშნა, რომ მოსწავლეების სახელებსა და მათი ტელეფონების ნომრებს შორის ლოგიკური კავშირი არსებობდა და ამ კავშირის მიხედვით გამოთვალა ზურას ნომერიც.

**თუ ამ ლოგიკურ კავშირს თქვენც შეამჩნევთ, მოგვწერეთ, რა ნომერზე შეძლო სკოლის დირექტორმა ზურას მშობლებთან დაკავშირება.**

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 101-Ე ᲬᲔᲚᲘ
გამომცემელი შპს „დილა“

მთავარი რედაქტორი
ᲓᲝᲓᲝ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲑᲣᲮᲐᲓᲘᲐ

პასუხისმგებელი მდივანი
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

პოეზია:
ᲛᲐᲘᲐ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ

პროზა:
ᲛᲐᲒᲓᲐ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲔᲟᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ

„დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა
პასუხისმგებელი რედაქტორი
ᲜᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

სტილი:
ᲪᲘᲡᲐᲜᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მხატვრობა და დიზაინი:
ᲒᲘᲐ ᲚᲐᲤᲐᲣᲠᲘ
ᲗᲔᲐ ᲛᲘᲥᲐᲘᲐ

ტექნიკური რედაქტორი
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲠᲩᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ
ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ

საფინანსო განყოფილება:
ᲜᲐᲘᲠᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲚᲔᲨᲙᲐᲨᲔᲚᲘ

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:
ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ
ᲜᲐᲜᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ

ყდაზე ნახატი:
ᲗᲔᲐ ᲛᲘᲥᲐᲘᲐᲡᲘ

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
http://www.dila.ge/
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com

ფასი 2.50 ლარი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ




b 14/26
F343
2005